საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის ხალხთა დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№149 (6374) 13 დეკემბერი ხუთშაბათი 1990 წელი ფასი 3 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერშია:

* სოფელო, დუმიდის ჭამი გათავდაქრონული ჯერ კიდევ არ არის გვიან

II-III გვ.

* ახალი სახელია

II გვ.

*„კალმასობა“ ლეჩხუმის შესახებ

*მეც, შენც, ყველამ...

III გვ.

ნაბიჯი თანხმობისაკენ

8 დეკემბერს საქართველოს მწერალთა კავშირში ერთმანეთს შეხვდნენ პოლიტიკური გაერთიანების მრგვალი მაგიდის წარმომადგენლები, უზენაესი საბჭოს დეპუტატები და საქართველოს ეროვნულ კონგრესში შემავალ პარტიათა წარგზავნილები.

მართალია, შეხვედრის დაწყისში საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა კამათი ორი მხარის უფლებამოსილებათა, განცხადებების გაკეთების, გადაწყვეტილებების მიღების უფლებათა გამორკვევასთან დაკავშირებით, მაგრამ შემდეგ თანამოსაუბრეებმა თვითონ აღიარეს, რომ საქართველოს ისტორიის ამ პასუხსაგებ მომენტში ხალხის ნება, როგორც თეიმურაზ ქორიძემ აღნიშნა, ყოველგვარ პარტიულ ინტერესებზე მაღლა უნდა იდგეს.

შეხვედრის მონაწილეთა აზრები დაემთხვა შიმშილობის აქციების შეწყვეტის ყოველმხრივი ხელშეწყობის საკითხშიც. რომლებიც აძლიერებენ დაძაბულობას საზოგადოებაში, ჰუმანურობის მოსაზრებანი საშუალებას არ გვაძლევს გავჭიანურით შექმნილი მდგომარეობის გადაჭრა, ამბობდნენ თეიმურაზ სუმბათაშვილი, ირაკლი წერეთელი და სხვები. აზრთა გაზიარების შემდეგ გადაწყდა შეიქმნას პარიტეტული კომისია ორივე მხარის, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, რომელიც შეისწავლის არაოფიციალურად არსებულ შეიარაღებულ ფორმირებებთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ კომისიის პირველი სხდომა ნავარაუდევია გაიმართოს 13 დეკემბერს 12 საათზე, კვლავ რესპუბლიკის მწერალთა კავშირში.

ამავე დროს, დააზუსტა ნუგზარ მოლოდინაშვილმა, ამა თუ იმ პირის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის თითოეული შემთხვევა შემდგომშიც უნდა განიხილონ შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა. მანვე, მაშველთა კორპუსის გაუქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ნუკრი ცუცქირიძის პროტესტის პასუხად დამსწრეთ შეახსენა, რომ მას უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

საქართველოს გულისფეთქვა

გვმართებს სიდინჯე, ურთიერთსიყვარული

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველმა სესიამ მორიგი სხდომა გამართა. ქართველი ხალხი იმედით, მოთმინებით შესცქერის თავის მიერ არჩეულ ეროვნულ მთავრობას, საქართველოს თავისუფლებისათვის ჯანგაუტეხელ ქართველს ზეციად გამსახურდიას, იმედით, რამეთუ კმარა გაღებული მსხვერპლი, სისხლი, ბრძოლა, მშვიდობა მოენატრა ქართველ კაცს.

არ მეგულვება ქართველი, რომელსაც არ ეამაყებოდეს უკვე განვლილი, მაგრამ არ ან ვერ ხედავდეს წინსავალ გზას—ისევ ბრძოლის, მოთმინებისა და ნარეკლიან გზას. დიახ, საკეთებელი ჯერაც წინაა, საქართველოს სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება ისევ წინაა.

ამისათვის რა არის საჭირო? ერთსულოვნება, შეკავშირება, ცხელი გული და შორსმჭვრეტელი გონება და რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ დროს ჩვენ, ქართველები, ვერ ვთანხმდებით ერთმანეთში, არის შუღლი, გაუტანლობა, კატასტროფულად გაზრდილი დანაშაულობები, ძმა ძმას ჰკლავს ნარბშეუხრელად. გვესმის, რომ ამდენი დანაშაულობები სოციალური უსამართლობის წარსულ წლებს უნდა დავაბრალოთ. მაგრამ ისიც ხომ გასაგებია, რომ უნდა დავივიწყოთ რანი ვიყავით გუშინ, დღეს ყველამ მოვუხმოთ გონებას, ხელი ჩავჭიდოთ ერთმანეთს. საქართველოში მღელვარე დღეებია, ამბობენ ცენტრში. დიახ, ჩვენ ფოკუსში ვართ და კონფრონტაციით მტერს ვუხარებთ გულს.

იმედი ჩაგვისახა 8 დეკემბერს გამართულმა მრგვალი მაგიდისა და ეროვნული კონგრესის წარმომადგენელთა შეხვედრამ, გადაწყდა, რომ გაირკვეს ყველაფერი, ყველას დაერქვას თავის სახელი, ეროვნულმა მთავრობამ და კონგრესმა ყველაფერი უნდა გააკეთონ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს თავისუფლებისათვის, ჩვენი ისტორია, წარსული დღენიადაგ შეგვახსენებს, რომ საქართველოს ყველაზე დიდი მტერი თვით ქართველთა მტრობა და ქიშპი, გაუტანლობა და შუღლია. კარგად უნდა გვახსოვდეს ეს.

უზენაესი საბჭო რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში წყვეტს ჩვენი ხალხისთვის სასიცოცხლო საკითხებს. ეს ბევრს გვავალებს და გვაფრთხილებს, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი, ვაკეთოთ ერის სასარგებლო საქმე, კონკრეტული საქმე, გვერდში დავუდგეთ ჭეშმარიტად ეროვნულ მთავრობას.

ციცო სადილიანი,

ცაგერის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი

სასურსათო კომბინატი: საზრუნავი კვლავ გვევრია

მიწყნარდა საქმე, გარედან შემოსატანი, მისაღებ-გადასამუშავებელი აღარაფერი აქვთ ცაგერის სასურსათო კომბინატის შრომით კოლექტივს, რომლებიც გასულ წლებთან შედარებით კარგად ამთავრებენ სამეურნეო წელს და სათქმელიც და სალაპარაკოც ახლა უფრო აქვთ, ვიდრე სხვა დროს.

მიმდინარე წელს სულ მიიღეს და გადაამუშავეს 700 ტონა კურკოვანი და 1500 ტონა თესლოვანი ხილი, საიდანაც 1240 ტონაზე მეტი ვაშლის დადუღებული წვენი აქვთ დამზადებული.

ახლა დადუღებული ვაშლის წვენისგან სპირტის გამოხდა მიმდინარეობს. ჯერჯერობით გამოხდილი აქვთ 10 ტონა სპირტი. სპირტის გამოხდა იანვრის თვეშიც გაგრძელდება და სულ 500 ტონა უნდა გამოხადონ.

სახელშეკრულებო ვალდებულების შესაბამისად, სარეალიზაციოდ, სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციებში გასაგზავნად მზადაა 200 ათასი პირობითი ქილა ლეჩხუმური ხილის—ქლიავის, ტყემლისა და შინდის კომპოტები, მოცვისა და მაყვლის მურაბები.

ასე რომ, ხილის მიღების სეზონი დამთავრდა, მაგრამ საქმე კვლავ აუარებელია კომბინატში.

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელ კავშირში

გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნოს სხდომა, რომელმაც იმსჯელა საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში დღეს გამოდის მრავალი გაზეთი და ჟურნალი. მათი რედაქციები ხელმძღვანელობენ თავისუფალი პრესის პრინციპებით, რაც ნათლად არის გამოხატული ახალ წესდებაში.

საინფორმაციო საშუალებათა თავისუფლება სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ყველას, ვინც კი მოინდომებს, აქვს უფლება ჩაერიოს მათ მუშაობაში. ყოველ გაზეთს, ჟურნალს, რადიოს თუ ტელევიზიას უნდა ჰქონდეს თავისი გამოკვეთილი პოზიცია, რომელსაც ახორციელებს სარედაქციო კოლექტივი და მისი ხელმძღვანელობა.

სამდივნოს მიაჩნია, რომ ნებისმიერი დიქტატი საინფორმაციო საშუალებების მიმართ ყოვლად მიუღებელია.

სს „საქართველო“.

მომავალი წლის ანგარიშში

მიმდინარე წელი ნაყოფიერი გამოდგა ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რაიონული საბჭოს შრომითი კოლექტივისათვის. მათ ვადაზე ადრე შეასრულეს წლიური გეგმა—ვალდებულება. გეგმური 12600 მანეთის ნაცვლად შესრულებულია 12721 მანეთის სამუშაო.

1 დეკემბრიდან ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რაიონული საბჭოს მშრომელები 1991 წლის ანგარიშში შრომობენ.

ექსპრეს ინფორმაცია

გაიფიცნენ...

მესამე დღეა ცაგერის ადგილმრეწველობის კომბინატის სამკერვალო საამქრო გაჩერებულია, თუმცა ამჟამად ნედლეული არის. გაიფიცნენ მუშები, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვენ კომბინატის დირექტორის განთავისუფლებას თანამდებობიდან, ბრალს დებენ რა მას მუშათა ინტერესების უგულვებელყოფაში. 12 დეკემბერს მუშებს შეხვდნენ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის წარმომადგენლები ომარ ჭაბუკიანი და გივი ხიცურიანი, წმინდა ილია მართლის საზოგადოების ცაგერის ფილიალის წევრები. მუშების კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ გადაწყდა მოიწვიონ გაერთიანების გენერალური დირექტორი და მისი თანდასწრებით იმსჯელონ საწარმოს ხელმძღვანელის არჩევის საკითხზე.

გაერთიანების გენერალურ დირექტორს კომბინატში დღეს ელოდებიან.

საკუთარი ინფორმაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი,

დუმილის ქამი გათავდა

უსახელო - ხოჯი

მდინარე ლაჯანურის მარჯვენა ნაპირზე მთის კალთებზე შეფენილა ლამაზი სოფელი უსახელო, იგი ორ ნაწილად —ზედა და ქვედა უსახელოდაა გაყოფილი. ზედა უსახელოში მე-19 საუკუნის წმინდა გიორგის ეკლესია დგას. თვითონ სოფლის სახელწოდების შესახებ ნავარაუდევია, რომ ძველი სახელი დაიკარგა და ამის გამო ახალმოსახლეებმა უსახელო უწოდეს. უსახელო არც ისე პატარა სოფელია, აქ 248 კომლია 722 მცხოვრებით. მიგრაციის მსახვრალმა ხელმა არც ეს სოფელი, დატოვა ხელშეუხებელი, მიდიან ოჯახები, უკეთეს საცხოვრებელ ადგილებს ეძებენ. იკლო ქორწილების რიცხვმა, წელს მხოლოდ სამმა ახალგაზრდა წყვილმა მოაწერა ხელი, სოფელს მხოლოდ 4 ახალშობილი შეემატა, 8 ადამიანი კი სამუდამოდ გამოაკლდა აქაურობას. ზემოთ ვახსენეთ, თურმე ძველად სოფელს სახელი დაჰკარგვია, რა ბედნიერი იქნებოდნენ აქაურები, მხოლოდ სოფლის სახელის პრობლემა რომ ჰქონდეთ გადასაჭრელი. თუ ყველაფრით: გზით, ტრანსპორტით, წყლით, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურებით უზრუნველყოფილი იქნებოდნენ, ამ სახამუშო სახელს როგორმე იგუებდნენ. უსახელოელების პრობლემებს რა ჩამოთვლის. არც ვინმეს გასთეთრებია თმები ამ სოფელზე ფიქრით, თორემ ამ ხალხისთვის ასე სანატრელი ერთი ავტობუსის დანიშვნის საქმეს როგორ ვერ მოაგვარებდა.

უსახელოს სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში შედის სოფელი ხოჯი, თავისი 48 კომლითა და 168 მცხოვრებით. არც აქ არის ცხოვრების უკეთესი პირობები, აქაც იგივე პრობლემები ქცეულა გადაულახავ ზღუდედ.

* * *

გზა... პირველი საწუხარი სოფლის

ცნობილია, რომ ლაჯანურჰესის საგუბარმა, რომლის ზემოთ მდებარეობს უსახელო, საგუბრის თავზე კი იწყება შესასვლელი გზა, წარმოშვა მეწყრები. ყოველწლიურად მიმდინარეობს გზის შეკეთება, მაგრამ არაფერს შველის. საქენერგომ კი არ შეასრულა დაპირება საგუბრის გასწვრივ გზის კაპიტალური მშენებლობის თაობაზე, მეწყერი გადმოდის გზაზე და შესასვლელიდანვე ჰირს ტრანსპორტის მოძრაობა. აუცილებელია გზას გაუკეთდეს მეწყრისაგან დამცავი ბეტონის კედელი.

6 დეკემბერს ძლიერ წვიმაში შევუდექით სოფლის გზა-აღმართს, ვერ ვიტყვით, რომ გზის შეკეთებაზე არავის ეფიქროს, მაგრამ რად გინდა, ყოველწლიურად წყალში იყრება ნაკეთებ-ნაწვალები, ისევ ჩამოდის ღვარმეწყრები.

მა 40 ოჯახმა მოილაპარაკა, რომ გამოეყვანათ სასმელი წყალი, წყლის აუზის მოწყობა და ოჯახებში გამოყვანა ითავა ბუჭუ თოთაძემ. დაიწყო წყალგაყვანილობის მშენებლობა, მოეწყო სათავე-ნაგებობა, სასოფლო საბჭომ გამოუყო მასალების ნაწილი—მილები, ცემენტი, მაგრამ სოფლის ერთსულოვნების გარეშე საქმე ბოლომდე ვერ მივიდა. და მოსახლეობის ნაწილი, სკოლა, საბჭო, საექიმო უბანი, ბიბლიოთეკა დარჩა წყლის გარეშე.

ჯერ ვიდევ არ

სასაყვედურო გვაქვს მოსახლეობასთან —არ უფრთხილდება გზას. ეზოებიდან მიშენებული წყლებით დაღვარულ-დაორმოებულ გზას არა აქვს სანიაღვრე არხები და ნიაღვარი შუა გზაზე მოედინება. გზის მშენებელთა აზრი ასეთია—შედგეს გზის კაპიტალური მშენებლობის პროექტი, რათა სოფელს ექნეს კეთილმოწყობილი გზა. ამ საკითხს ზემდგომ ორგანოებში აყენებს ცაგერის საგზაო სამმართველო, ამთავითვე უნდა მიიღოს ზომები სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომმაც.

წყალში დგანან და...

სოფლის მშრომელები შეწუხებული არიან უწყლობით. უსახელოში რამდენიმე ადგილზე გამოდის ანკარა ბინული წყლები, ზედა უსახელოს მცხოვრებზედა უსახელოს მცხოვრებლები, რომლებსაც სათანადო თანხა გაღებული აქვთ, უწყლობით აუტანელ პირობებში არიან.

* * *

ისევე, როგორც უსახელოს, ხოჯსაც უჭირს უგზობით. მასწავლებლებმა გულისტკივილით გვითხრეს, რომ საშველი არ დაადგა ხოჯისა და უსახელოს შემაერთებელი 400 მეტრი გზის მოხრეშვას, რის გამოც ხოჯელი ახალგაზრდები ლაცორიის საშუალო სკოლაში დადიან.

ხოჯსაც უჭირს სასმელი წყლით მომარაგების საქმეში. აქ არის საუკეთესო წყარო, „გუჯუმაში“, რომელიც სასმელი წყლით უზრუნველყოფს ურთმელიძეების უბანს და ნაბიჯიც გადაიდგა მისი ხალხის საქმესახურში ჩაყენებისათვის, მოეწყო სათავე-ნაგებობა, [illegible] მოსახლეობა [illegible] ურუნველყოფ[illegible]

უსახელოში არის საექიმო ამბულატორია, ექიმად შეთავსებით მუშაობს ომარ ფრუიძე, ჰყავთ სამი ექთანი და ზედა და ქვედა უსახელოს მოსახლეობას ემსახურებიან. ხოჯს არა აქვს საფერშლო პუნქტი, ამიტომ უსახელოში მომუშავე ექთნები უწევენ მომსახურებას ხოჯელ მოსახლეობას.

ხოჯში იყო დაწყებითი სკოლა, მაგრამ მიგრაციამ გამოიწვია სკოლის გაუქმება. თუ მოსახლეობას შეექმნება ცხოვრების დამაკმაყოფილებელი პირობები, სკოლაც აღდგება, რომლის შენობას თვალისჩინივით უვლიან.

შეფერხებები არ არის ელექტროენერგიით მომარაგებაში, კარგია ტელეხედვა, ზაფხულის პერიოდში ტარდება კინოსეანსები, მაგრამ კავშირგამბულობის რაიონული კვანძის მუშაკთა მისამართით გამოოქვეს საყვედური, რომ 7 თვეზე მეტია არ მუშაობს რადიო, ხშირია ტელეფონების დაზიანების შემთხვევები, რომელთა აღდგენა კვირაობით და ზოგჯერ თვეობით ჭიანურდება.

კულტურის კერებშიც შევიხედეთ. უსახელოში ბიბლიოთეკის შენობა ავარიულ მდგომარეობა-

ნაგიჯი

თანხმოგისაკენ

(დასასრული).

დისკუსია გაჩაღდა საქართველოს რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მექანიზმის საკითხზეც. რა თქმა უნდა, ეჭვი არავის არ ეპარება თითოეული მხარის, მათი წარმომადგენლების პატრიოტიზმში, ხაზგასმით აღინიშნა შეხვედრაზე. ამავე დროს, იღწვიან რა სანუკვარი მიზნის მიღწევის კონსტიტუციური, ბრძნული საშუალებებისათვის, დიალოგის მონაწილეებს სხვადასხვაგვარად წარმოუდგენიათ მისი რეალიზაციის ტექნიკა და სტრატეგია.

აი, ამიტომ, ირაკლი წერეთლის წინადადებებს, რომ რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღოს დადგენილებანი ან განცხადებანი, რომლებიც განსაზღვრავს საქართველოს დღეანდელ ფაქტობრივ სტატუსს, ეროვნულ-პოლიტიკურ სიტუაციას, აგრეთვე მისცეს მეფასება ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოთა არმიის ჯარების ყოფნის ხასიათს, მრგვალი მაგიდის წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ, რადგან ეს საკითხები უკვე აძახა ბატონ ზვიად გამსახურდიას მოხსენებაში საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე და რესპუბლიკის კონსტიტუციის პრეამბულაში, პრინციპული დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შემდეგ. რა თქმა უნდა, ყველა შემდგომი შესწორება მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტის კომპეტენციაა, მაგრამ ისევ და ისევ ძალისმიერი ზეგავლენის, სხვა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების მხრივ დიქტატის გამოვლენის გარეშე.

საქართველო სულ ერთია მოიპოვებს, აღიდგენს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, დასკვნეს შეხვედრის მონაწილეებმა. დაე, ნურავის ნუ შეაშინებს ამის თაობაზე რამდენიმე კონცეპტუალური მიმართულების, შემუშავებული რეკომენდაციების, სტრატეგიული მისწრაფებების არსებობა. მათ შესახებ თავიანთ აზრს გამოთქვამენ პოლიტოლოგები, ინტელიგენცია, ფართო საზოგადოებრიობა. თვითონ ცხოვრება გვიკარნახებს ხალხისათვის ყველაზე მისაღებ გზას. ოღონდ, ნურც ერთი ჩვენგანი ნუ წარმოადგენს და ნუ მოახვევს ვინმეს თავის აზრს, როგორც ჭეშმარიტებას უკანასკნელ ინსტანციაში.

რიაზანის მცირეწლოვანთა კოლონიაში სასჯელს იხდიან 14-დან 18 წლამდე ასაკის გოგონები, ადრე აქ ქალთა მონასტერი იყო, რომელიც საბჭოთა პერიოდში კოლონიად გადააკეთეს.

სისასტიკისა და ძალადობის ტალღამ გადაუარა ქვეყანას. იზრდება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვი. დამნაშავეთა სამყაროში ბევრია გოგონაც.

კოლონიის ადმინისტრაცია მიზნად ისახავს მეტად არ გაამკაცროს გოგონების ისედაც ცივი სულები.

სურათზე: აღმზრდელი მარინა ვინოგრადოვა კოლონიის აღსაზრდელებთან.

მუშაკაცი

ახალი სახელია

მიიწურა 1990 წელი. რამდენი ვალმოხდილი ლეჩხუმელი მიაცილებს სიამაყით. ისინი ბევრნი ყრიან, სხვასხვა სოფელში ცხოვრობენ და შრომობენ, ამრავლებენ ქვეყნისათვის ესოდენ საჭირო დოვლათს.

გვარ-სახელით ძალიან ცოტა თუ იცნობს რაიონში. იგი ჩვენი მკითხველისთვისაც ახალი სახელია, კაცი ალალი და ნაღდი, პატიოსანი მშრომელი. შური უცხოა მისთვის, ყველას მიმართ თავაზიანია და ურიგოს ვერც მას ჰკადრებს ვინმე.

პირტიტველა ბიჭი იყო ოყურეშელი ოთარ ტარასის ძე აკობიძე შრომას რომ ეზიარა, და ბოლომდე უერთგულა. მარტო ის რად ღირს, სამი ათეული წელიწადი მეურნეობის მეღორეობის ფერმაში რომ იმუშავა და თავი არასდროს შეურცხვენია. მე შენ გეტყვი და საავკაცოდ წასცდებოდა ხელი საზოგადოებრივი ქონებისკენ, როგორც საკუთარ ოჯახში, ისე მომჭირნედ ეკიდებოდა ყველაფერს. სპეტაკი კაციაო, —ყველა ასე იცნობს სოფელში. განაცოტაა ეს დღეს. ერს ღირსება ხომ თითოეული ქართველის სიწმინდემ და პატიოსანმა შრომამ უნდა შემატოს.

მიწის ერთგული კაცი, საკუთარ კარ-მიდამოში შრომობდა თუ მეურნეობაში იჯარით აღებულ ნაკვეთებში, ერთნაირი შემართებით, მიწისადმი გონივრული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. ახლა, როცა ყველგან გლეხური მეურნეობა იკიდებს ფეხს, ყველამ იცის უკვე თავისი ვენახი თუ ყანა, სათიბი თუ ხეხილის ბაღი, ოთარის ოჯახისთვისაც შრომა უფრო საინტერესო გახდა. თვალისჩინივით მოუარა ზვარსა და ყანას, ბარაქიანი შემოდგომაც დაუდგა.

წლევანდელი წელი კი ჩაათავა, მაგრამ ახლა მომავალ წელზე ფიქრობს, ზრუნავს, ზამთრის ამ თბილ მზიან დღეებში რამდენი საქმე შეიძლება გაკეთდეს. 0,2 ჰექტარ ყანასა და 0,2 ჰექტარ ზვარში გასუფთავება, სასუქით განოყიერება, საყრდენი მასალის დამზადება, რომ გაისადაც უფრო მეტად ამრავლოს დოვლათი.

შვილების მამას, ოთარ აკობიძეს, ყველა საქმეში მეუღლე, ქალბატონი ლეილა, უდგას გვერდით. ზრდიან პირუტყვს, კვებავენ აბრეშუმის მურს და ასე უპრეტენზიო ცხოვრებით ცხოვრობენ სოფელში და ძლიერებას მატებენ მას.

გ. კაჭკაჭაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის გვიან

შია, სახურავიდან წყალი ჩამოდის, ბიბლიოთეკარ რუსუდან შეკიშვილს მუშაობის ელემენტარული პირობები არა აქვს. 6 დეკემბერს, დღის 4 საათზე ბიბლიოთეკარი საბჭოს შენობაში იყო, გავაღებინეთ ბიბლიოთეკა, არ აქვს გათბობა, ორ კვირაზე მეტია ელექტროხაზი დაზიანებულია, გასაგებია, რა მუშაობა იქნება ასეთ პირობებში. სასოფლო კლუბს მინები ჩამტვრეული აქვს და უკვე აღარც კინოსეანსები ტარდება.

საყოფაცხოვრებო მომსახურების არც ერთი ობიექტი არ ფუნქციონირებს ზედა, ქვედა უსახელოსა და ხოჯის. ამ სოფლების მცხოვრებლები ფეხსაცმლის შესაკეთებლად, წვერის გასაპარსად ლაჯანაში უნდა წავიდნენ.

მოსახლეობა ძირითადად კმაყოფილია პურსაცხობისა და შერეული მადაზიის მუშაკთა მომსახურებით, სისტემატურად ცხვება პური, რომლის ხარისხი მოსწონია. მოსახლეობის უმრავლესობას მიღებული აქვს კუთვნილი ნავთი, იღებენ ნორმით დადგენილ შაქარს.

სოფელი სავსეა ხეხილის ბაღებით. წელს ხილის კარგი მოსავალი იყო, მაგრამ ხილის მიღება ფერხდებოდა იმიტომ, რომ ბიმღები პუნქტიდან გადაზიდვა ჭირდა ტრანსპორტის ნაკლებობის გამო. ასევე შეფერხებები იყო მოსახლეობიდან ხორცის შესყიდვის საქმეში. ამ დღეებში საბჭოში 10 სული მსხვილფეხა პირუტყვი მოიყვანეს, მაგრამ რადგან ვერ იშოვეს მათი გადასაყვანი ტრანსპორტი, მოსახლეებს უკან დაუბრუნდა.

„...ჩემს ბავშვებს რომ

რაიმე გაუჭირდეთ...“

სკოლის ეზოში შესულებს ბავშვების ჟრიამული არ შემოგვგებებია, წვიმდა, ციოდა, ხელისუფლივით პატარა „საზიარო“ ეზოში აქა-იქ ღრმა გუბეები იდგა. ჩვენს დანახვაზე ბეღურებივით მოაწყდნენ ფანჯრებს ბავშვები. სკოლის კოლექტივი მალე შეიკრიბა სამასწავლებლოში. თბილად მიგვიღეს, გვიღიმოდნენ, მაგრამ თვალები მაინც ვერ მალავდნენ იმ სევდას, ათასმა საჭირბოროტო პრობლემამ რომ ჩაუგუბათ.

სკოლაში ახლა 36 მოსწავლეა, —გვითხრა სკოლის დირექტორმა მავრა სილაგაძემ—მახსოვს 1960 წელს პირველი კლასი 25 მოსწავლით დავაკომპლექტეთ, სკოლაში კი 140 მოსწავლე გვყავდა. მას შემდეგ თანდათან იკლო მოსწავლეების რიცხვმა. წლების მანძილზე გადაუწყვეტელმა სოფლის მრავალმა პრობლემამ აიძულა ბევრი ახალგაზრდა ოჯახი წასულიყო და ქალაქში უკეთესი პირობები ეძებნა. გული გვტკივა, როცა ვუყურებთ კლასში მხოლოდ 5-6 ბავშვი ზის. წელს სამმა პირველკლასელმა შემოაღო სკოლის კარი, უკვე წინასწარ ვიცით მთელი სამი წლის მანძილზე სკოლაში მისაღები ბავშვების რაოდენობა.

სკოლაში 13 მასწავლებელია. უცხო ენის სპეციალისტი არ ჰყავთ მხოლოდ. წლების მანძილზე არასპეციალისტები ასწავლიდნენ ამ საგანს, ახლა კი საერთოდ ამოიღეს სწავლებიდან. „ცუდად სწავლებას სულ რომ არ ვასწავლოთ, ის ჯობიაო“— გვითხრეს, მაგრამ ფაქტია, სკოლიდან წასულ ბავშვებს უცხო ენაც დასჭირდებათ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად.

ყველაზე სავალალო და საჭირბოროტო პრობლემაც წამოსწია პედაგოგებმა: ბუფეტი გვაქვს... პროდუქტი კი არა, არც ბავშვებს და არც ჩვენ აქ სადილობის საშუალება არა გვაქვს. არადა რაც ხუთდღიან სწავლებაზე გადავედით, სკოლაში სამუშაო საათებმა მოიმატა, უფრო დიდხანს გვიხდება ყოფნა, ჩვენ კიდევ გავძლებთ, მაგრამ ბავშვებმა რა ქნან? მანქანა არა გვყავს, რომ მომმარაგებელმა რაიმე შემოიტანოს, არც კარაქს და შაქარს გვაძლევენ...

სკოლაში სასმელი წყალიც არა აქვთ, გადაგვიჭრესო, გვითხრეს. ყველაფერი გაგვიგია, მაგრამ ქართველს ბავშვისათვის წყალი დანანებოდეს—ბავშვი არაფერი. დამლაგებლები შორიდან ეზიდებიან სასმელ წყალს. ერთი ჭურჭლიდან ერთი ჭიქით სვამს ყველა ბავშვი. გარდა ამისა, სკოლას დასუფთავება სჭირდება, საამისოდ 20-22 ვედრო წყალი უნდა ვზიდოთ ყოველდღე შორიდან, გვითხრეს.

გათბობის საქმე ასე თუ ისე მოაწესრიგეს, იმის იმედი მაინც გვაქვს, ბავშვებს სხვა გასაჭირთან ერთად სიცივეც არ შეაწუხებთ.

გვინდოდა პატარებს გავსაუბრებოდით, ბავშვის თვალებით დანახული ავ-კარგი სულ სხვაა, მაგრამ გადავიფიქრეთ, ასეთ სიცივესა და წვიმაში მთელი დღე მერხებთან ნამყოფ ბავშვებს ალბათ გული სასლისკენ, თბილი ბუხრისკენ და ცხელი სადილისკენ მიუწევთ, შეგვეცოდნენ და აღარ დავსაჯეთ. ისიც ვიცოდით, ერთ მათგანს დიდი გზა უნდა გაევლო, სანამ უსახელოდან ხოჯში გავიდოდა, კიდეც შემოაღამდებოდა.

წამოსვლისას პედაგოგებმა გვითხრეს, თუ სხვა სკოლების მასწავლებლებს განაწილებით აქვთ იმპორტული ნაწარმის შეძენის საშუალება, რა იქნება ჩვენც გვქონდეს ამის შესაძლებლობა, რადგან ჩვენს მაღაზიებში დღეს ნორმალურს ვერაფერს ვყიდულობთო.

* * *

მოვდიოდით და ვფიქრობდით, ვინ იცის, მართლა როგორ უჭირთ აქაურებს, იუნებ ბევრრამ არც კი გვითხრეს და გაგვიმხილეს ჩვეული ქართული მოთმინებით. ბავშვებს რომ რამ აკლიათ, საკორტული ძოვდანი ისე საცოდავია, ალბათ ნორმალურად თამაშის შესაძლებლობაც არა აქვთ.

„ჩემს ბავშვებს რომ რაიმე გაუჭირდეთ, რაც შემეძლება ყველაფერს გავაკეთებო“—დირექტორის ეს სიტყვები ცოტათი მაინც გვმატებენ იმედს. ერს ხომ ახლა განათლებული და ჯანსაღი თაობა ჭირდება, ნაღდ-ქართველებად რომ დაეზრდებიან სამშობლოს.

* * *

ასე, რომ საფიქრალ-სატკივარი ბლომად აქვთ უსახელოს და ხოჯის მცხოვრებთ. ვუსმენთ მათ და ერთი ნათქვამი გვაგონდება: „კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო“, არადა, რატომ უნდა გვიკვირდეს კარგი, რატომ არ უნდა იყოს ჩვენი სილამაზით და ბუნების სინატიფით განთქმული სოფლების ცხოვრება ისე მოწყობილი, რომ ქართველკაცს სანატრელი არაფერი ჰქონდეს.

ვემშვიდობებოდით დიდ და ლამაზ სოფელს, ზამთრის სუსხი და თავსხმა წვიმა მიგვაცილებდა, ახლა უფრო ლამაზი ჩანდა შორიდან სოფელი, სახლების საკვამურებიდან ქულებად ამოდიოდა ბოლი, ყველა ოჯახში სითბო და სიმშვიდე ტრიალებდა, და ჩვენც იმედი მიგვქონდა დიდი: ჯერ კიდევ არ არის გვიან, კიდევ შეიძლება მიეშველო სოფელს!

ვლ. დავითულიანი,
მ. მახარობლიძე.

პური ჩვენი არსობისა

◆

მეც, შენც, ყველამ . . .

ოდითგან ასე იყო ჩვენში: დაგდებულ პურის ნატეხს გულგრილად ვერ ჩაუვლიდა მშრომელი კაცი. დასწვდებოდა, აიღებდა, სუფთა ადგილს შემოსდებდა, ღმერთს შენდობას მოისთხოვდა სხვათა უგნურთ თუ უნებლიე საქციელზე, ღმერთო გვაპატიეო, იტყოდა.

მე კარგა ხნისა ვარ და ბევრი რამ მინახავს ჩემს სიცოცხლეში. მახსოვს, ბავშვებს წვიეები დაჩხვლეტილი რომ გვქონდა ნამკალის შემდეგ პურის თავთავების აკრეფის გამო. ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ მეტ „ჩეშს“ მოაგროვებდა. ღამით ოჯახის წევრებთან ერთად ხელით გამოვფშვნიდით, დავფქვავდით და სტუმრისთვის ვინახავდით. მახსოვს შიმშილი ომის დროს, როცა პურის ერთი ნაჭერი ოქროზე ძვირფასი იყო... და დღეს რომ ვხედავ, თუ როგორ უყაირათოდ ეპყრობიან პურს, მე მინდა ვკითხო დღევანდელ გენებივრებულ ბავშვებს, ვინ აღზარდა ისინი და საიდან აქვთ ასეთი ბატონკაცური დამოკიდებულება პურისადმი?

გულგრილად ვერც მე ჩავუვარე ამას წინათ კაფებარის „თაკვერი“ წინ დაყრილ კარგა მოზრდილ პურის ნატეხებს. სამსახურში მიმავალმა ნატეხების აკრეფა დავიწყე, ზოგი ირონიულადაც მიმზერდა, ალბათ, რა გაუჭირდაო ასეთი.

შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ეს უფროსის გაკეთებული იყო, მაგრამ ბავშვებიც ხომ უნდა აღვზარდოთ მომჭირნეობისა და ყაირათიანობის გრძნობით. ხომ უნდა შთავუნერგოთ პატივისცემა იმ ადამიანების მიმართ, ვინც პურის მარცვალს პურად აქცევს.

ოჯახის სიმდიდრე მომჭირნეობასა და ყაირათიანობაშიაო, იტყოდნენ წინათ. წესრიგი—ეს მარტოდენ დისციპლინის დაცვა როდია, ეს პირველყოვლისა საკუთარი თავისა და გარშემო მყოფთადმი პატივისცემაა, წესრიგი და მომჭირნეობა კეთილდღეობის წყაროა.

ტექნიკურმა პროგრესმა ბევრი რამ შეცვალა, მაგრამ ვერ შეცვალა პურის ყადრი. დღეს, როცა დამოუკიდებელ გზაზე მიმავალი რესპუბლიკა ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, პურს გამორჩეული ყურადღებით უნდა ვეკიდებოდეთ და ვუფრთხილდებოდეთ მეც, შენც, ყველა.

გ. ბაძრაძე.

„კალმასობა“ ლეჩხუმის შესახებ

წელს გამოიცა იოანე ბატონიშვილის (1768-1830 წ. წ.) ცნობილი წიგნის „კალმასობის“ პირველი ტომი. მალე გამოვა მისი გაგრძელება სამ წიგნად.

იოანე იყო განათლებული მოღვაწე, ენციკლოპედისტი, მწერალი, მწიგნობარი.

„კალმასობა“ (ანუ ხუმარსწავლა) კითხვა-პასუხის სახით არკვევს მაშინდელი საზოგადოების განათლების დონეს და აგრეთვე ხელს უწყობს ხალხში მეცნიერული ცოდნის გავრცელებას.

იოანემ და მისმა თანამგზავრმა ზურაბმა 1800-იანი წლების დასაწყისში მთელი საქართველო შემოიარეს და თავიანთი კალმასობა სრულად აღწერეს დღიურებში, ხოლო შემდეგ, როცა იოანე პეტერბურგში დამკვიდრდა, იქ 1813-28 წლებში დაწერა „კალმასობა“, რომლის სრული ბეჭდვითი სახით გამოცემა ახლა დაიწყო. მასში გარდა მეცნიერულ საკითხებზე კამათისა, აღწერილია საქართველოს ცალკეული კუთხეების მაშინდელი ზნე-ჩვეულებანი, ეკონომიკა, კულტურის დონე, ზნეობა, სარწმუნოება... წიგნის ენა ძნელად გასაგებია, რადგან იგი მაშინ გაბატონებული კონსერვატული ქართული ენის ნორმებითაა დაწერილი. მაგრამ დღეს ამასაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს ენათმეცნიერებისთვის.

რამდენიმე ადგილი „კალმასობიდან“ ლეჩხუმის შესახებ:

მარტვილიდან ბერი იოანე ლეჩხუმისკენ გაემგზავრა, მივიდა დადიანის სასახლეში მურს. აქ ისაუბრა ხუცესთან, სახლის პატრონთან, ვინმე ფაღავასთან სარწმუნოებაზე. მოგვყავს ეს საინტერესო საუბარი.

„იოანე: რამდენი მოწაფენი გყვანან?

ხუცესმან: ბატონო არ ვიცი ჰსწორად.

იოანე: რატომ? ვინც აღსარებას გეტყვის, ხომ დასწერ იმათ, რომ თქვენს მღვდელმთავარს აცნობოს, თუ რაოდენნი თქვა აღსარება, ანუ რაოდენთა მიიღეს წმინდა საიდუმლო?

ხუცესმან: არცა ვის აღსარებახ ვათქმევინებთ და არა ვის ვაზიარებთ, ვინც სასიკვდილოდ არ მიიწერება სნეულებითა თუ სხვა მიზეზითა.

იოანე: უი ჩემ თავს, რატომ ხუცესო, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა აღსარებას იტყოდეს და ეზიარებოდეს ქრისტიანე კაცი, თუ ოთხსავე მარხვაში ვერ განეშზადა.

ხუცესმან: რა ვარ იქნება, ვინმე კაცის სასიკვდილოდ არ იყოს, რომ აღსარება ვათქმევინო და ან ვაზიარო. მთელ კაცს რით უნდა ზიარება, ცოდვილი იქნება იყო.

იოანე: უი, რას ამბობ და მაშინ სახლის პატრონს ჰკითხა იოანემ, უფალო სახლის პატრონო, არც თქვენ იტყვით ხოლმე აღსარებასა და არც ეზიარებით?

სახლის პატრონი: ბარე ორმოცდაათი წლის კაცი ვარ, არც აღსარება მითქვამს, არც ვზიარებივარ. კარგად მთლად ვარ, არ მეჭირება, ვინმე არ გავიწირვი სასიკვდილოდ.

იოანე: და სხვებიც ესრეთ არიან ვითარცა თქვენ?

სახლის პატრონი: ეგების ოთხმეოცი წლის ბებერი დედაკაცი იყოს ვინმე და მცირე ბოშვები, ამათ თუ აზიარებენ, თორემ სხვა არავინ დაეძებს, არც ჩვენი მებატონენი და დიდნი კაცნი.

მაშინ **ხუცესმან:** ეს მართალია და აქ ასეა რიგი. რომ ჰკითხო ვისმე აღსარებას არ იტყვი, ან არ ეზიარებით-მოგიგებს, ხომ არ ვჰკვდებიო.

იოანე: მამაშვილობამ ცუდი რიგი და ზნეობა გქონიათ და არც ქრისტიანული საქმეა.

ხუცესმან: ჩვენში ასეა და აწ შენ მიბრძანე, თუ ქრისტიანური ზნეთ ჰსწავლულება არ არის რომ ვასწაო ჩემ მოწაფეთა.

იოანე: ისმინე ხუცესო და ყურად იღე (ამას მიყვება თავი—ქრისტიანობრივი ზნეთ ჰსწავლება)...

შემდგომად ამა **უბნობასა** ივახშმეს და მერე თვისთვისად წარვიდნენ, ხოლ ხვალისა დღე მივიდნენ სასახლესა და ციხესა მურს, რომელსა ძველად ეწოდა თაკვერი და ბერსა მისცენ მუნ ადგილი და აჩუქეს მუნებერი ადგილნი და მდგბარეობა და საფლავი მცირესა ეკლესიასა შინა წმინდისა მაქსიმე აღმსარებისა. ბერსა ესა ყოველი მოეწონა და იამა და ჰთქვა: აქ შესაძლებელ არს განმაგრებად, უკუთუ მტერი მოვლას ვინმე ძლიერი, ვერა რამესა ავნებს აქ მყოფთა უკეთუ შიგავე არ იქმნიან გამცემელი.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

„კალმასობა“ ლეჩხუმის შესახებ

(დასასრული).

ფაღავამ: მართალსა ბრძანებთ, ბერო.

იოანე: ამ მთას უკან რაღა ადგილია.

ფაღავა: სვანეთი.

იოანე: დია ძველად ეწოდა სვანეთი. აქ დაიხიზნებოდნენ ერთობის ჟამს მის ჟამის ხალხნი. ოდეს ძლიერი ყეენი მოვიდოდა ჩვენზედ სამტროთ.

ფაღავა: ჩვენც ასე გაგვიგონია და ვჰგონებ მრავალი ნივთიც იყოს მის ჟამისანი დაშთომილნი სვანეთს.

იოანე: დია მრავალი, ამასთან ტნი და ნივთნი არიან დარჩომოქროს მინაქრით ქმნილი და სხუანი მრავალნი ძვირფასნი ხატნი და ნივთნი არიან დარჩონილნი აქ“.

ასე მთავრდება კალმასობაში ლეჩხუმის შესახებ საუბარი. ამ საუბრიდან ჩანს, რომ ამ მხარეში წირვა-ლოცვას არ მისდევდნენ არც მდაბიონნი, არცა მთავარნი, რის გამოც იოანე დიდად განაწყენდა და აუხსნა, რა უნდა აკეთონ ხუცესმა,—საეკლესიო მსახურებმა. ასევე იოანემ თავისი აზრი გამოთქვა მურის ციხეზე, სვანეთზე და მაქსიმე აღმსარებელზე.

წიგნი ბევრი საინტერესო მასალის შემცველია, მით უფრო დაინტერესებული მკვლევარისათვის.

ჯ. საღინაძე.

ახალი ქართული ფილმები

ნოდარ დუმბაძის რომანის „თეთრი ბაირაღების“ მიხედვით კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ გადაღებული ფილმის პრემიერით დაიწყო ახალი ქართული ფილმების ჩვენება. სურათი გადაღო რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ, რომელმაც თავის დროზე პირველმა მიმართა შესანიშნავი მწერლის ნაწარმოებების ეკრანიზაციას. მის მიერ გადაღებული ფილმი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ქვეყნის ოქროს კინოფონდში შევიდა. სხვათა შორის, რეჟისორი ახლაც იღებს კიდევ ერთ ფილმს ნ. დუმბაძის რომანის „ნუ გეშინია, დედას“ მიხედვით.

ქართველი მაყურებელი გაეცნობა ახალ ფილმებს ნანა ჯორჯაძის „რობინზონიადას“, ნოდარ ომიაძის „ფარანი ქარში“, სერგეი ფარაჯანოვის „აშუღი ქერიბი“, დიმა ცინცაძის „დახატული წრე“, ბიძინა ჩხეიძის „ოფელია თაყვანისმცემლები“.

—ერთდროულად რამდენიმე ქართული ფილმის გამოსვლა,—თქვა საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ კორესპონდენტთან საუბარში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ,—შესაძლებელი გახდა ქართული ფილმების წარმოების მთელი პროცესების გარდაქმნის წყალობით. აქამდე ისინი წლობით „დაეხეტებოდა“ სახკინოს ტევრში. ახლა კი ცენტრის გვერდის ავლით პირდაპირ ხვდება მაყურებელთან. წარმოდგენილ ფილმებს შორის არის ძველი ლენტებიც, რომლებიც დიდხანს ეწყო თაროებზე და მხოლოდ ახლა ეღირსათ ეკრანზე გამოსვლა. მათ შორისაა „რობინზონიადა“ და „ამერიკული ქერიბიც“.

ამიერიდან ეს ფილმები ტრადიციული გახდება. მათ, ისევე, როგორც ახლა, წინ წარუძღვებათ შეხვედრები გადამღებ კოლექტივებთან, პრესკონფერენციები. მაყურებელში ფილმის წარმატების შემთხვევაში იგი გახმოვანდება რუსულ ენაზე, მომარაგდება სუბტიტრებით ინგლისურ და გერმანულ ენებზე. წინა წლებთან განსხვავებით ყველა ეს სამუშაო ადგილზე განხორციელდება.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.

რედაქტორის მოადგილე

მ. ძნელაძე.

სოფო აკაკის ასულ გვიშიანს
სოსო რუბენის ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლე და სიყვარული დაგბედებოდეთ.

ვალერი მუშკუდიანი, ნუკრი საღინაძე, ნუგზარ ბახსოლიანი, თემურ კოპალიანი.

სოფო გვიშიანს
სოსო მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას, სიხარულს, სიყვარულსა და სიკეთეს აეყვავებინოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი. იმრავლეთ.

მზია ცხვედიანი, გულო ასათიანი, ლილი ჯიაძე, ლეილა კენჭაძე, შუშანა კვირკაშვილი, გულო ჩანქსელიანი, რიმა თუთისანი, ია გურგუჩიანი, თინა მეშველიანი, გუგული ლომთაძე, გულო სილაგაძე, ნუნუ ბურჯალიანი, მარინე მამარდაშვილი, ნათელა ჩაკვეტაძე, გულო ბენდელიანი, ზინა ჩარკვიანი.

სოფო აკაკის ასულ გვიშიანს
სოსო რუბენის ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. მუდამ ჟამს. იხარეთ და იმრავლეთ.

ხათუნა, ნატო, მადონა გვიშიანები, გოგი ახვლედიანი.



ნორა, აკაკი გვიშიანებს

გილოცავთ შვილის, სოფიკოს ბედნიერებას. მტკიცე ქართული ოჯახი შეექმნათ, ერი ემრავლებინოთ.

ნარგიზა, გოგი საღინაძეები, მზია, დიტო, ლენა ბურჯალიანები.

ლალი გურამის ასულ კვირკაშვილს

გილოცავთ დაბადების დღეს. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ოჯახურ სიტკბოებასა და სიკეთეს გისურვებთ.

ცაგერის მრავალდარგობრივი საბინაო კომუნალური მეურნეობის გაერთიანების თანამშრომლები.

ალექსანდრე მიხეილის ძე კოპალიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ულევ სიხარულს.

გულო, ზაზა, ზურაბ, ზვიად, ზიტა კოპალიანები.

გოგუცა საღინაძეს
ზოთა ჩაკვეტაძეს

გილოცავთ შვილების ნინოსა და რობინზონის ბედნიერებას. სიხარული და ბედნიერება ყოფილიყოს მათი ცხოვრების თანამგზავრი.

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

მეუღლე ვერა, შვილები ბონდო, გივი, შვილიშვილები გია, ილო, ქეთინო, რუსუდანი, ხვიჩა, რძლები ნანული, მაგული, ნატო, ნანა, ხათუნა, სიძეები ჯემალ თვარაძე, როინ ვაჩაძე, სამსონ ნემსწვერიძე, ვანო ცაგარეიშვილი, შვილთაშვილები კახა, ბექა, ნინო, გიორგი, თორნიკე, გიგა, თეონა, ბაჩანა, ძმისშვილები, ძმისშვილიშვილები, ცოლისძმისშვილისშვილები, ცოლისდისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ილარიონ პეტრეს ძე ბენდელიანი

დაკრძალვა 16 დეკემბერს, კვირას, ქ. ცაგერში.

ბიქტორ, დავით, სოზარ, ალექსანდრე ცვარიანები ოჯახებით იუწყებიან

ჰიჰიკო ცვარიანის

გარდაცვალებას.

შალვა, გრიშა, რამაზ შკუბულიანები, გრიშა ონიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ილარიონ ბენდელიანი.

ავთო, ამირან მუშკუდიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეორა აქვსენტის ძე ომანაძე.

ნოდარ ხეცურიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ეორა ომანაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეზობლები გერონტი, შურა, დათო ლეთოდიანები, პოლიშკა, თამაზ თაგვაძეები, ბუჰუ ფუტკარაძე, მურად მიქაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ილარიონ ბენდელიანი

ნაპოლეონ სილაგაძე, შიო ლაჭყეპიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ გივი ბენდელიანს მამის

ილარიონ პეტრეს ძე ბენდელიანის

გარდაცვალების გამო.

როზეტა, თამარ ქვარიანები, ნონა, რობერტ, ნელი ასათიანები, მერი ყურაშვილი, სვეტლანა, ნათელა, ანზორ, ჯემალ ნემსწვერიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ნარგიზა ასათიანს დის

გულიკო ასათიანის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე თინა, შვილები მანანა, ოლეგი, ელდარი, რიტა, შვილიშვილები მალხაზი, თინათინი, ნიკა, მარი, რძლები მანანა ყურაშვილი, თინა ღაჭავა, სიძეები მერაბ ქომეთიანი, ომარ სულუხია, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძები, ბიცოლები, მამიდა, დეიდა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ცოლისძმები, ცოლისდა, ქვისლი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეორა აქვსენტის ძე ომანაძე.

დაკრძალვა 16 დეკემბერს, კვირას სოფ. ზუბში.

გივი, ზურაბ, გურამ ლიპარტელიანები ოჯახებით იუწყებიან,

გრიშა ცვარიანის

გარდაცვალებას.

ბორის, დუტუ - ხეცურიანების ოჯახები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ილარიონ ბენდელიანი

ცაგერის ბაგა-ბაღის აღსაზრდელების მშობლები თანაუგრძნობენ ეუეუნა ცვარიანს მეუღლის

ჰიჰიკო ცვარიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ჯოკია შკუბულიანს და ნინა ჩაკვეტაძეს სიძის

ჰიჰიკო ცვარიანის

გარდაცვალების გამო.

შოთა ცვარიანი, ამირან ჩახულიანი, ნანი, კაკო ჩარკვიანები, ჯონი ხვადაგიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გრიგოლ (ჰიჰიკო) ოქროპირის ძე ცვარიანი.

მამიდა სონია, სიძე რუბენ ჯიქია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეორა აქვსენტის ძე ომანაძე.

გიული ლაჭყეპიანი, ზურაბ, გრიშა, ეენია ახვლედიანები, კუკური ასათიანი, მერი გაბიძაშვილი, ჯანიკო მიქაუტაძე, შოთა გოდოლაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ნარგიზა ასათიანს დის

გულიკო ასათიანის

გარდაცვალების გამო.

დედა საშიკო, დები ნარგიზა, ნელი, დეიდები თინა, ბაბუცა, ლუბა, ბიცოლა შურა ასათიანები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გულიკო ჯიბის ასული ასათიანი

დაკრძალვა 15 დეკემბერს, შაბათს, წყალტუბოს ზონის სოფ. დერჩში.

რუბენ დავითულიანი ოჯახით იუწყება ბიძაშვილის

ვალერიან ერასტის ძე დავითულიანის

გარდაცვალებას.

პიერ ფუტკარაძე, გოგუცა, ნანული, დოდო, ვენერა, მაყვალა, გულნაზი, ზურაბი ომანაძეები, ქენია, მანანა ჩაკვეტაძეები, ინეზა ბენიძე, დუგლას მამარდაშვილი, ნაზი კოპალიანი თანაუგრძნობენ თინა მუშკუდიანს მეუღლის

ეორა აქვსენტის ძე ომანაძის

გარდაცვალების გამო.

კოსტა ხეცურიანი, თენგიზ მდივანი, სოსო ჩარკვიანი, ბორის მეიფარიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეორა აქვსენტის ძე ომანაძე

ბარდნალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ მანანა, მერაბი ქომეთიანებს მამისა და სიმამრის

ეორა ომანაძის

გარდაცვალების გამო.

კულტურის განყოფილებისა და სარაიონო კულტურის სახლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გივი ბენდელიანს და ხათუნა სილაგაძეს მამისა და ბაბუის

ილარიონ პეტრეს ძე ბენდელიანის

გარდაცვალების გამო.

ბიძაშვილები გოგი, დავით ომანაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეორა აქვსენტის ძე ომანაძე.

კინოფიკაციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბორის აკაკის ძე ხეცურიანს ბიძის

ილარიონ ბენდელიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის— —22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, ხალამწყობრო სალაბორატორიოს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №144 ტირაჟი 4483

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.